პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 7 სექტემბერი, 1947 წ. № 179 (7963). ფასი 20 კაპ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ქალაქ მოსკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს წინაშე მოსკოვის მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებისათვის, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, მრეწველობის, კულტურის განვითარებასა და ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1947 წლის 6 სექტემბერი.



## მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს ქალაქ მოსკოვის მშრომელებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან და ულოცავენ დედაქალაქის მშრომელთ ქალაქ მოსკოვის დაარსების 800 წლისთავს.

მოსკოვის რვაასი წლისთავი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ცხოვრებაში. საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი სახელოვანი დედაქალაქით, მისი გმირული წარსულით, მისი დამსახურებით სოციალიზმის გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მოსკოვმა თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსეთის სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაში. იგი იყო რუსული მიწა-წყლის შემკრები, რუსი ხალხის ეროვნული ცხოვრების ცენტრი. ყოველთვის, როცა ჩვენს ქვეყანას უცხოელი დამპყრობნი ემუქრებოდნენ, მოსკოვი რაზმავდა რუს ხალხს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მოსკოვი იყო თათარ-მონღოლ დამმონებელთა, პოლონელ-ლიტველ ინტერვენტთა, ნაპოლეონის შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი.

მამაცი რუსი პატრიოტების — დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, მიხეილ კუტუზოვის დიდებული სახელები მარად იცოცხლებენ თაობათა მადლიერ ხსოვნაში, როგორც სამშობლოს წინაშე, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის წინაშე მოსკოვის დიდი ისტორიული დამსახურების უკვდავი სიმბოლო.

მოსკოვმა დიდი როლი შეასრულა მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ რუსეთის ხალხთა რევოლუციურ ბრძოლაში. საბარიკადო ბრძოლები პრესნაში 1905 წელს, მოსკოვის პროლეტარიატის თავდადებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1917 წლის ოქტომბერში შევლენ ისტორიაში, როგორც რევოლუციური სიმტკიცისა და მამაცობის შესანიშნავი მაგალითები.

ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მოსკოველებმა. გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის მკაცრ წლებში მოსკოველებმა გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი ლენინის დროშით, საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მოსკოვის მშრომელებმა თავი გამოიჩინეს საბჭოთა სამშობლოს მამაც პატრიოტებად, თავისი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ შვილებად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა, ხოლო მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ძირიანად გარდაიქმნა მოსკოვის სახე, რომელიც სოციალიზმის მძლავრი მიუვალი სიმაგრე გახდა. მოსკოვი მნიშვნელოვნად მეტ სამრეწველო პროდუქციას იძლევა, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი 1913 წელს იძლეოდა. მოსკოვი გახდა საბჭოთა მანქანათმშენებლობის უდიდესი ცენტრი. მოსკოვის ახლადაგებული და რეკონსტრუირებული ქარხნები და ფაბრიკები სოციალისტური ინდუსტრიის სიამაყეს წარმოადგენენ.

მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმა, 1935 წელს მიღებული, დედაქალაქის მთელი საქალაქო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველი გახდა. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მოსკოვის საბინაო ფონდი ერთნახევარჯერ გადიდდა. ცენტრალურ მაგისტრალებსა და ქალაქის გარეუბნებში აგებულია მრავალი ახეული კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი სახლი. აგებულია პირველხარისხოვანი მეტროპოლიტენი, გაყვანილია მოსკოვ-ვოლგის არხი, რამაც დედაქალაქი სამი ზღვის ნავსადგურად გადააქცია და რადიკალურად გადასჭრა მოსკოვის წყლით მომარაგების პრობლემა. დამთავრებულია სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა. დედაქალაქი დამშვენდა მრავალი პარკითა და ბაღით. მოკლე ხანში აიგო 400-მდე დიდი სასკოლო შენობა და მრავალი საავადმყოფო. მოსკოვი გამდიდრდა ახალი კლუბების, ბიბლიოთეკების, სამეცნიერო ინსტიტუტების ფართო ქსელით, გახდა უმაღლეს სასწავლებელთა ქალაქი, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი ცენტრი.

დედაქალაქის მშრომელები, მოსკოვის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყოველთვის იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საიმედო დასაყრდენი.

ფრონტზე და ზურგში, ბრძოლებსა და შრომაში მოსკოველები იყვნენ თავდადებისა და მამაცობის მაგალითი; ვაჟკაცობის, სიმტკიცის, თავისი პატრიოტული ვალის ღირსეულად შესრულების, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების ნიმუში.

ამ თავდადებასა და საბჭოთა პატრიოტიზმს მოსკოვის მშრომელნი კვლავ ცხადჰყოფენ მშვიდობიან შრომაში, ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს მისი მეორე წლის თვიურ გეგმებს. მოსკოვის მშრომელთა წრიდან დაწინაურდა ახალი ხუთწლედისათვის მრავალი ათასი მოწინავე მებრძოლი — შრომის გმირები.

წარმატებით ხორციელდება დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმის განხორციელება მოსკოვს უფრო კეთილმოწყობილ და აყვავებულ ქალაქად გადააქცევს.

სოციალისტური მოსკოვი — საბჭოთა წყობილების პირმშო, ახახიერებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, რომლებიც შემჭიდროვდნენ ურღვევ, ძმურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. მოსკოვი — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქი ძვირფასი და მახლობელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის უშრეტი ცხოველუნარიანი ძალის განხორციელება, როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების სიმბოლო.

მოსკოვი არის ახალი, სოციალისტური კულტურის ცენტრი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მიღწევათა შემნახველი და განმგრძობი.

მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალში მოსკოვი არის მატარებელი ჩვენი ეპოქის მოწინავე დემოკრატიული იდეებისა, რომლებიც მსოფლიოს დაჩაგრული ხალხების იდუმალ სწრაფვას გამოხატავენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ დედაქალაქის მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია, მთელი მშრომელები თავდადებით იშრომებენ ქალაქის მრეწველობის განვითარების გეგმის შესრულებისათვის, დედაქალაქის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმის განხორციელებისათვის, საბჭოთა მოწინავე მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მომავალშიც იქნებიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება

სალამი მოსკოვს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მისი 800 წლისთავის დღეს.

მთელი ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს დღეს ამ ღირსშესანიშნავ დღეს. იგი მას დღესასწაულობს არა ფორმალურად, არამედ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით სამშობლოს წინაშე მოსკოვის დიდი დამსახურების გამო.

მოსკოვის დამსახურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან ჩვენი სამშობლოს ისტორიის მანძილზე სამჯერ გაათავისუფლა იგი უცხოელთა ჩაგვრისაგან — მონღოლების უღლისაგან, პოლონელ-ლიტველთა შემოსევისაგან, ფრანგთა შემოჭრისაგან. მოსკოვის დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გახდა საფუძველი დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებისა ერთიან სახელმწიფოდ ერთიანი მთავრობით, ერთიანი ხელმძღვანელობით. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი. მოსკოვის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი იყო და არის რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება სამშობლოს წინაშე მოსკოვის დამსახურება. მას შემდეგ, რაც დიდი ლენინის ნებით მოსკოვი კვლავ გამოცხადდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქად, იგი ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე გახდა.

მოსკოვი ახლა არის არა მარტო ახალი საბჭოთა სოციალურ-ეკონომიური წესრიგის მშენებლობის სულისჩამდგმელი, წესრიგისა, რომელმაც კაპიტალის ბატონობა შესცვალა შრომის ბატონობით და რომელიც უარჰყოფს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ამასთან ერთად მოსკოვი არის კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მქადაგებელი.

მოსკოვი ახლა არის ახალი საბჭოთა დემოკრატიის მშენებლობის არა მარტო სულისჩამდგმელი, საბჭოთა დემოკრატიისა, რომელიც უარჰყოფს მოქალაქეების, სქესის, რასების, ერების ყოველგვარ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უთანასწორობას და რომელიც უზრუნველჰყოფს შრომის უფლებას და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ხელფასის უფლებას. ამასთან ერთად მოსკოვი არის პლუტოკრატიისა და იმპერიალიზმის ბატონობისაგან მსოფლიოში ყველა მშრომელი ადამიანის, ყველა დაჩაგრული რასისა და ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა. ეჭვი არ არის, რომ ამ პოლიტიკის გარეშე მოსკოვს არ შეეძლო გამხდარიყო ხალხთა მეგობრობისა და მათი ძმური თანამშრომლობის ორგანიზაციის ცენტრი ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში.

მოსკოვი ახლა არის დედაქალაქის მშრომელთა ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობის არა მარტო ინიციატორი, ახალი ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც თავისუფალია მილიონობით უქონელთა და უმუშევართა სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან. ამასთან ერთად მოსკოვი ამ მხრივ არის ნიმუში მსოფლიოს ყველა დედაქალაქისათვის. ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების დიდი დედაქალაქების ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული იარა არის ჯურღმულების არსებობა, სადაც მილიონობით გაღატაკებული მშრომელი განწირულია გაჩანაგებისა და ნელი, მტანჯველი სიკვდილისათვის. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ მან სავსებით მოსპო ეს ჯურღმულები და მშრომელებს მისცა შესაძლებლობა სარდაფებიდან და ქოხმახებიდან გადასახლებულიყვნენ ბურჟუაზიის ბინებსა და სახლებში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგებულ ახალ კეთილმოწყობილ სახლებში.

ბოლოს, მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი წარმოადგენს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელს, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელს. იმპერიალისტებისათვის ომი არის ყველაზე უფრო შემოსავლიანი საქმე. გასაკვირველი როდია, რომ იმპერიალიზმის აგენტები ცდილობენ ასე თუ ისე პროვოკაციულად გამოიწვიონ ახალი ომი. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი დაუღალავად ააშკარავებს ახალი ომის გამჩაღებლებს და მშვიდობის დროშის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის მძლავრ ბურჯს.

აი რა დამსახურებისათვის დღესასწაულობს დღეს ჩვენი სამშობლო მოსკოვის 800 წლისთავს თავისი დედაქალაქისადმი ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრს, მშობლიურს, საბჭოთა, სოციალისტურ მოსკოვს!

ი. სტალინი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 61

1947 წლის 7 სექტემბერი

ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს შეიარაღებული ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენას—მოსკოვის — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის 800 წლისთავს.

რუსი ხალხი, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ხალხები დიდ პატივს სცემენ იური დოლგორუკის მიერ დაარსებულ ქალაქ მოსკოვის ისტორიულ წარსულს. მის გარშემო ერთიანდებოდა და იზრდებოდა რუსეთის სახელმწიფო, იქმნებოდა და ვითარდებოდა მისი მდიდარი კულტურა.

მოსკოვის კედლებთან ბევრჯერ ჰპოვეს სამარე უცხოელმა დამპყრობლებმა, რომლებიც ხელჰყოფდნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას. დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა მეომრებმა მოსკოვთან გამანადგურებელი დარტყმა აგემეს გერმანელ ფაშისტთა არმიას და გააქარწყლეს მითი მისი უძლეველობის შესახებ.

დიდი სტალინის, ბოლშევიკების პარტიისა და ჩვენი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მოსკოვი გადაიქცა სოციალიზმის უძლეველ ციხე-სიმაგრედ, გახდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური, ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი. იგი გახდა მთელი მოწინავე კაცობრიობის დროშა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხთა შორის მშვიდობის, ყველა რასისა და ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მოგესალმებით და მოგილოცავთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის 800 წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულს.

მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავად, — **ვბრძანებ:**

დღეს, 7 სექტემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ლენინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი 20 საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს სტალინს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი ნ. ბულგანინი

მოსკოვი, კრემლი

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მოწვეული ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით, გულითად ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ბრძენ მასწავლებელს, საყვარელ მამასა და მეგობარს!

800 წლისთავი მოსკოვისა, რომელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულია.

მოსკოვი არის დიდი საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი დედაქალაქი, საბჭოთა ადამიანების სიამაყე. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამოხატულია დიდი რუსი ხალხის, მისი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების გზა.

საბჭოთა ადამიანები პატივს სცემენ მოსკოვს — რუსული მიწა-წყლის შემკრებს, მძლავრი რუსული სახელმწიფოს შემქმნელს. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ მოსკოვის საბრძოლო გმირობით მონღოლ-თათართა უღლისაგან, გერმანელ ქოფაკ რაინდთაგან, პოლონელ ინტერვენტთაგან, ფრანგ დამპყრობთაგან, გერმანელ ფაშისტ მტაცებელთაგან სამშობლოს დაცვის საქმეში. საბჭოთა ადამიანებისათვის მოსკოვი ძვირფასია, როგორც წარსულში რევოლუციურ-დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის მძლავრი კერა, როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი.

მოსკოვი არის მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საყვარელი დედაქალაქი, სსრ კავშირის ყველა ხალხის ეროვნული სიამაყე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა სტალინური მეგობრობის, მათი ურღვევი ერთიანობისა და ძმობის სიმბოლო. მოსკოვისაკენ — ნამდვილი დემოკრატიისა და პროგრესის მნათობისაკენ იმედითა და აღტაცებით მიპყრობილია მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე მოსკოვის აყვავებაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების გამოხატულებას. თქვენი გენიალური გეგმით გარდაქმნილ და რეკონსტრუირებულ მოსკოვს საბჭოთა ხალხი სიყვარულით უწოდებს სტალინურ მოსკოვს. სტალინური მოსკოვი — ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს გული, მსოფლიო კულტურის ცენტრი, კაცობრიობის ახალი ცივილიზაციის ცენტრი, ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის ცენტრი, — უსაზღვროდ საყვარელია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, ძვირფასია მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის.

საბჭოთა ადამიანები მოსკოვის 800 წლისთავს დღესასწაულობენ იმ დღეებში, როცა გაჩაღებულია საყოველთაო სახალხო ბრძოლა დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესასრულებლად. მთელი ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ამ შესანიშნავ შეჯიბრებაში მხარს უსწორებენ სტალინურ მოსკოვს, რომელიც გვიჩვენებს შრომითი გმირობის, ტექნიკური პროგრესის, წარმოების მაღალი კულტურის ნიმუშებს. საბჭოთა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით მონაწილეობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოსკოვის სახელოვან იუბილეს აღნიშნავენ სტახანოვური ვახტებით, საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებით, უხვი მოსავლის აღებით, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებით, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ახალი მიღწევებით.

მთელი ეს წარმატებანი შთაგონებულია თქვენ მიერ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ. და დღეს, მოსკოვის რვაასი წლისთავის დღესასწაულის დღეს, ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრი მომართულია თქვენდამი, დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი, ახალი მოსკოვის მშენებლის, სსრ კავშირის ხალხთა ახალი ცხოვრებისა და ბედნიერების მშენებლის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მასწავლებლისა და მეგობრისადმი.

სამარადისო ქება-დიდება ჩვენს საყვარელ დედაქალაქს — სტალინურ მოსკოვს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

დიდება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შემოქმედსა და სულისჩამდგმელს — დიდ სტალინს!

## თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი მოსკოვის 800 წლისთავისადმი

გუშინ, 6 სექტემბერს, ლენინის ორდენოსან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. საზეიმო სხდომა მიეძღვნა ქალაქ მოსკოვის 800 წლის იუბილეს.

საზეიმოდ მორთული დარბაზი სავსეა ხალხით. აქ არიან თბილისის მოწინავე ადამიანები — სტახანოველი მუშები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკნი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

ფარდა აიხადა. სცენის თავზე კიდით კიდემდე წითელ არშიაზე ამოქარგულია მისალმების სიტყვები—გაუმარჯოს დიდ სტალინს! სცენის სიღრმეში აღმართულია დიდი სტალინის პორტრეტი. მის მარჯვნივ და მარცხნივ არის ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიას პორტრეტები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, პ. შარია, ე. ჩერქეზია, გ. გოჩაშვილი, ს. არობელიძე, გ. რობაქიძე, შ. წერეთელი, ნ. კეცხოველი, გ. კიკნაძე, ა. კვაჭაძე, ნ. სარქისოვი, ი. ნიკოლაძე, ვ. ლოლაძე, ა. გიგოშვილი, თ. ქლივიძე, გ. ცქიტიშვილი, დ. რომელაშვილი, რ. შადური, დ. ხანთაძე, გ. ჯიბლაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და ა. ვასაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. სოხაძე, სტალინური პრემიის ლაურეატები: რეჟისორი მ. ჭიაურელი, მხატვარი უ. ჯაფარიძე, პოეტი ს. ჩიქოვანი, პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გოჩაშვილი საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს.

სხდომის მონაწილეთა მქუხარე ტაშის გრიალში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივნის ამხ. გ. ცქიტიშვილის წინადადებით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე კ. ჩარკვიანი.

მოხსენება თემაზე — „მოსკოვის 800 წლისთავი" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის სამმართველოს უფროსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ქურდიანმა.

მომხსენებელმა გააშუქა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოსკოვის ისტორია, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა მოსკოვი, როგორ აერთიანებდა იგი დიდ რუს ხალხს ერთ მთლიან სახელმწიფოდ, როგორ გადაიქცა მოსკოვი ჩვენი ქვეყნის უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრად. უკანასკნელი 30 წელი, საბჭოთა ხელისუფლების წლები მოსკოვის განახლების, მისი უმაგალითო ზრდისა და განმტკიცების წლებია. ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე მოსკოვმა სახე იცვალა, გამშვენდა მისი ქუჩები, აშენდა მსოფლიოში საუკეთესო მეტროპოლიტენი, ასობით საზოგადოებრივი შენობები და საცხოვრებელი სახლები, გაშენდა პარკები და ბაღები. დიდი სამამულო ომის დღეებში მოსკოვი იდგა როგორც მიუვალი სიმაგრე და მის კარიბჭესთან საბჭოთა არმიამ პირველი სერიოზული ლახვარი ჩასცა ჰიტლერელთა ჯარებს, გააცამტვერა მათი უძლეველობის მითი. მტერზე გამარჯვების შემდეგ მოსკოვი ჩადგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში. მოსკოვი არის საბჭოთა ხალხის სინდისი, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ამიტომაც საბჭოთა ხალხები უდიდესი სიამაყის გრძნობით ზეიმობენ მოსკოვის 800 წლისთავს, მოსკოვისა, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი დიდი სტალინი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დედაქალაქს — მოსკოვს!

გაუმარჯოს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

მოსკოვისა და დიდი ბელადის სტალინისადმი მისალმების სიტყვები მთელი დარბაზის მქუხარე ტაშმა დაფარა.

საზეიმო სხდომის თავმჯდომარე ამხ. გოჩაშვილი წინადადებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს რ. შადურს. იგი კითხულობს დიდი ბელადის სტალინისადმი მისალმების ტექსტს, რასაც მთელი დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

სხდომის დამსწრეებმა მქუხარე ტაშით მიიღეს აგრეთვე მისალმების ტექსტი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი. მისალმება წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. ვ. ლოლაძემ.

საზეიმო სხდომის დასასრულს შესდგა დიდი კონცერტი.

მოსკოვი

# მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან მოსკოვის მუშებსა და ინტელიგენციას მოსკოვის სახელოვანი რვაასი წლისთავის დღეს.

ქართველი ხალხი, ისე როგორც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, უდიდესი სიამაყით დღესასწაულობს ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის თარიღს.

მოსკოვი არის მრავალსაუკუნოვანი ქალაქი, რუსეთის ქალაქთა დედა. მოსკოვში იქმნებოდა რუსი ხალხის დიდი კულტურა, მოსკოვი იყო რუსი ხალხის მძლავრი დასაყრდენი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში.

ცარიზმის შავბნელ ხანაში მოსკოვი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის კერა.

ქართველი ხალხი მოსკოვს უკავშირებს საქართველოს ისტორიის ფურცლებს, რომლებიც მოგვითხრობენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის საწყისებზე, მათს ერთობლივ ბრძოლაზე საერთო მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მატიანემ სამარადისო გახადა საქართველოს შვილთა სახელები, რომლებიც 1812 წელს რუსი მეომრების მხარდამხარ იბრძოდნენ დიდი ძველი რუსული ქალაქისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები ქება-დიდებას ასხამენ მოსკოვს — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საყვარელ დედაქალაქს. მისი იუბილეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული საბჭოთა ხალხის ერთიანობის, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო მისი მჭიდროდ დარაზმულობის ახალი დადასტურებაა. ეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ხალხთა სტალინური მეგობრობის ურღვევლობის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების სიმბოლოა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე მოსკოვი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი გახდა და იგი გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს ურყევ ძლიერებას, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის დროს მოსკოვისათვის ისტორიულ ბრძოლაში, გერმანელ ფაშისტ-დამპყრობლებზე საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებაში, საბჭოთა არმიისა, რომელსაც სტალინის გენია მიუძღვის.

ძველისძველი მოსკოვი, საბჭოთა მოსკოვი, დიდი სამამულო ომის პერიოდის მოსკოვი ცხოველმყოფელი პატრიოტიზმის, საბჭოთა ეროვნული სიამაყის უშრეტი წყაროა.

მოსკოვი არის საბჭოების ქვეყნის გული, მისი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. აქ, ჩვენი სამშობლოს დიდების ქალაქში, მუშაობდა **ლენინი**, მუშაობს ხალხთა ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი**.

საბჭოთა სახელმწიფოს დიდ დამფუძნებელთა გენიით გასხივოსნებულ მოსკოვის კრემლში მომზადდა აქტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, გამოცხადებულ და კანონით განმტკიცებულ იქნა ცარიზმისა და კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ხალხების სახელმწიფოებრიობა. მოსკოვში დაამტკიცეს ხალხის არჩეულებმა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი — სტალინური კონსტიტუცია.

მილიონობით საბჭოთა ადამიანის თვალი უსაზღვრო სიამაყითა და მხურვალე სიყვარულით მიპყრობილია მოსკოვისაკენ. ისინი მის აყვავებაში ხედავენ ლენინ-სტალინის საქმის უძლეველობის სიმბოლოს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების სიმბოლოს, კომუნიზმისა, რომლის ბრწყინვალე მწვერვალებისკენ სტალინის გენიას მივყავართ.

დიდება სტალინურ მოსკოვს — მძლავრი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის იმედს!

დიდება ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მებრძოლ მოწინავე რაზმს!

დიდება ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელს, ორგანიზატორსა და შემოქმედს — დიდ, მშობლიურ სტალინს!

| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო | საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი |
|---|---|



მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვში, წითელ მოედანზე 1946 წელს.
ფოტო გ. შიროკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე

## მოსკოვს

რუსეთის გულო მოსკოვო, დღეს რომ [illegible]
სალამს მოგიძღვნის თბილისი, კერაო გაზაფხულისა.

ვადიდოთ შენი რვაასწლის ხაგმირო გადასავალი,
მყობადში მეტი დიდება, სიცოცხლე, წელი მრავალი.

ძლევით შემუსრე მტარვალნი, ბრძოლა ჰქმენ სახელოვანი,
გარეკე თათარ-მონგოლი, მრავალ სხვა მტერთა ხროვანი.

ურიცხვ დამპყრობთა დროშები შენს ბჭესთან გადიმტვრეოდა,
დაამხე ნაპოლეონი, ქვეყნად რომ ვერ ეტეოდა.

აქ აღიმართა ლენინის დროშა უძლევი, დიადი,
რომ სამუდამოდ მოესპო ხალხის მონობის წყვდიადი.

აქ დიდ სტალინმა ძირს დასცა ფაშიზმის ურდო-ლაშქარი.
გამარჯვების მზე შემოჯდა კრემლზე უკვდავი კაშკაშით.

და დღეს, როდესაც ქუჩები ზეიმით გაგიბრწყინდება,
შენი გმირული წარსულის შემოგანათებს დიდება, —

გიგზავნით გულით საჩუქარს ჭალარა საქართველოდან,
ამ ზეიმს ძველი თბილისი გულისფანცქალით ელოდა.

შენთვის ძღვნად მოგვირთმევია — ნათელი სიბრძნის ლამპარი —
უკვდავი სახე ლენინის, ქართველის ნაქანდაკარი.

ამ სახეს ყრმა ჯუღაშვილი ოცნების შუქით ამკობდა,
ლენინის მაღალ სიბრძნეზე აღგზნებით ლაპარაკობდა.

ლენინ-სტალინის პარტიის გზა მტკიცე, განუხრელია,
ეს ორი დიდი სახელი ერთია, განუყრელია.

მათი წყალობით ქვეყანამ ამოისუნთქა შვებითა,
ლენინ-სტალინის ალამი დაგვხარის გამარჯვებითა.

მიიღე ჩვენი სალამი, შუქურავ მთელი ქვეყნისა!
ბრწყინავდეს სამარადისოდ ვარსკვლავი შენი კრემლისა!

ხალხთა ძმობის და კავშირის გაურღვეველი ზღუდე ხარ,
მაღალ აზრთა და გრძნობათა დაუნგრეველი ბუდე ხარ,

უფრო ამაღლდი, რომ შუქით მთელი ქვეყანა ალაღო,
ქალაქთა შორის რჩეულო, ბრწყინვალე დედაქალაქო!

დედაქალაქის 800 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გამგზავრებულმა საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციამ საქართველოს მშრომელებისაგან მოსკოვის საჩუქრად თან წაიღო ვ. ი. ლენინის სკულპტურული ბიუსტი, რომელიც ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან საქართველოს სსრ სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის სკულპტურის მიხედვით. სკულპტურასთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციამ წაიღო აგრეთვე ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილისა და გ. ლეონიძის ვერცხლის დაფაზე ამოჭრილი ლექსი, მიძღვნილი მოსკოვისადმი.

მოსკოვი

# მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომს

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავისადმი, მხურვალე, გულითად, ძმურ სალამს გითვლით თქვენ და თქვენი სახით დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი დედაქალაქის მშრომელებს!

თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელები ღრმა პატრიოტული გრძნობით აღნიშნავენ დღეს მოსკოვის 800 წლისთავს — დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის თარიღს. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, ქართველი ხალხი სიამაყითა და სიხარულით წარმოსთქვამს საყვარელ სახელს — მოსკოვი.

ძმობის ძველისძველი კავშირი აქვს ქართველ ხალხს დიდ რუს ხალხთან. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან დამპყრობთა ბარბაროსული ურდოებით შევიწროებული ქართველი ხალხი თავისი ხსნის იმედს ამყარებდა დიდ რუს ხალხზე, რომელთანაც მას აკავშირებდა საერთო კულტურა და ცივილიზაცია. მოსკოვი ყოველთვის იყო ჩვენი ხალხების უძველესი მეგობრობის სიმბოლო. მოსკოვში ჰპოებდნენ თავშესაფარს საქართველოს სახელმწიფო და კულტურის მოღვაწენი, იქ იძენდნენ სულიერ საზრდოსა და ძალებს სამშობლო ქვეყნიდან დამპყრობთა განდევნისათვის ბრძოლაში.

მოსკოვთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი გმირული საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორიული გზა. დიდი რუსი ხალხის ეროვნული სიამაყე — მოსკოვი სსრ კავშირის ყველა ხალხის ეროვნული სიამაყეა. მოსკოვი — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საყვარელი დედაქალაქი — ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა ერთიანობასა და ძმობას ასახიერებს.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად უწოდებს მოსკოვს სტალინურ მოსკოვს. სტალინის გენიამ განუზომლად აამაღლა მოსკოვი. სტალინური მოსკოვი არის საბჭოთა კავშირის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, ეს არის მსოფლიო კულტურის ცენტრი, ლენინიზმის ციტადელი, კაცობრიობის ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის კერა. მოსკოვის რეკონსტრუქცია, რაც სტალინური გეგმით ხორციელდება, მეტროს, ვოლგა-მოსკოვის არხის, სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის გრანდიოზული ნაგებობანი, დიდებული ხიდები და სანაპიროები, ახალი ჩინებული შენობანი ასახავენ გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოუცავს.

თბილისის მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი ამაყობენ თავიანთი ურღვევი ისტორიული კავშირით მოსკოვთან, დიდ რუს ხალხთან, რომლის ძმური დახმარებით საქართველომ მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ოჯახში.

ქართველ ხალხს არაერთგზის გაუგზავნია თავისი შვილები მტერთა ხელყოფისაგან მოსკოვის დასაცავად. ასე იყო 1812 წელს, ასე იყო 1941 წლის მრისხანე დღეებშიც.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მედალი „მოსკოვის დაცვისათვის" მკერდს უმშვენებს ბევრ ქართველ მეომარს, რომლებიც ღირსეულად და სახელოვნად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ მოსკოვის მიდამოებში.

საბჭოთა ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი — მოსკოვი საქართველოს უდიდეს დახმარებას უწევდა და უწევს სოციალისტურ მშენებლობაში.

ეს მკაფიოდ სჩანს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ამჟამად გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. თბილისის ბევრი საწარმო ეჯიბრება მოსკოვის საწარმოებს, გადმოაქვს მათი მდიდარი გამოცდილება, მათი მაღალი ინდუსტრიული კულტურა. სოციალისტურ მოსკოვთან ურღვევი შემოქმედებითი კავშირით ეწევიან თავიანთ ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები.

სტალინური მოსკოვის სახელოვანი იუბილე ახალი ძალით აღაფრთოვანებს საქართველოს ყველა მშრომელს ახალი ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საბჭოთა სამშობლოს დიდებისა და ძლიერების შემდგომი აღმავლობის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის საბრძოლველად.

მხურვალედ მივესალმებით მოსკოვის მშრომელებს და გამოვსთქვამთ დიდი რუსი ხალხისადმი ძმური სიყვარულისა და მადლიერების ღრმა გრძნობას, ვადიდებთ ჩვენი სამშობლოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

მოსკოვის გმირული ისტორიით, სტალინური ეპოქის მოსკოვის დიდებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მოსკოვს!

დიდება დიდ რუს ხალხს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს გენიალურ ბელადს, მასწავლებელს, უდიდეს მხედართმთავარს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება სტალინურ მოსკოვს — მძლავრი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის იმედს!

## საბჭოთა კავშირის სიამაყე

1945 წელს მე წილად მხვდა ბედნიერება მოსკოვში დავსწრებოდი გამარჯვების ზეიმს. შეუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმამ ოდნავაც ვერ შეასუსტა საზეიმო განწყობილება. წითელ მოედანზე მტკიცედ მოაბიჯებდა გმირი საბჭოთა არმია, გამარჯვებული არმია, სახელგანთქმულ მარშალთა და გენერალთა მეთაურობით. ზეიმის ბოლომდე ადგილიდან არ დაძრულა მთელი დამსწრე მოსკოვი, რომელიც უსაზღვრო სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით თვალს არ აშორებდა გამარჯვების ორგანიზატორს, გენერალისიმუს სტალინს და მის ერთგულ თანამებრძოლებს.

მრისხანე და შეუდრეკელი მტერთან, ლმობიერი და ალერსიანი მოყვარესთან — ასეთია მოსკოვი თავისი არსებობის რვა საუკუნის განმავლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მოსკოვი იქცა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის სოციალისტური მშენებლობის, სოციალისტური კულტურისა და მეცნიერების ცენტრად, ხალხთა ბედნიერებისა და სიხარულის წყაროდ, მომავლის ურყევ იმედად.

ამიტომ არის მისკენ მიპყრობილი არა მარტო ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი მოქალაქის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩაგრული ერების ხალხთა თვალიც.

თითქმის 25 წელი სრულდება, რაც მოსკოვთან უწყვეტი კავშირი მაქვს, როგორც მეცნიერსა და როგორც საზოგადოებრივ მუშაკს. 50-ზე მეტჯერ ვყოფილვარ მოსკოვს და ყოველთვის მისდამი სიყვარულით აღელვებული შევსულვარ ამ ქალაქში: იქ ცხოვრობს და მუშაობს დიდი სტალინი თავისი სახელოვანი თანამებრძოლებით; იქ არის უკვდავი ლენინის ნეშტი, რომლის ნახვის უამრავ მსურველთა რიგში უეჭველად მეც ჩავდგები ხოლმე; იქ, მოსკოვში, არის მეცნიერული აზრის საუნჯე — მეცნიერებათა აკადემია, ლენინის მუზეუმი, ხელოვნების, ლიტერატურის მუზეუმი, პუშკინის, მაიაკოვსკის, ტოლსტოის, გრიბოედოვის მუზეუმები და შესანიშნავი თეატრები, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის შემოქმედების შეუდარებელი ნიმუში—მეტრო...

ძნელია ყველაფრის მოგონება და აღნუსხვა, რითაც დავალებულად ვთვლი თავს მოსკოვისაგან. ვიტყვი მხოლოდ, რომ მოსკოვს ყოველთვის ვტოვებდი დატვირთული მრავალი შთაბეჭდილებით, ცოდნითა და გამოცდილებით, რაც მიადვილებდა როგორც საზოგადოებრივ, ისე მეცნიერულ მუშაობას.

**გ. ახვლედიანი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

## მშობლიური მახლობელი

გამარჯვებული ქვეყნის სახელოვან დედაქალაქს — მოსკოვს 800 წელი შეუსრულდა. დიდია სიხარული, რომელსაც განიცდის დღეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, რადგან მოსკოვი ერთნაირად მშობლიური და მახლობელია ყველა ჩვენგანისათვის.

1941 წელს პირველად ვნახე მოსკოვი,—მშვენიერი ქუჩებით, მოედნებით, ფაბრიკებით, ქარხნებით დამშვენებული. დედაქალაქის ნახვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სიხარულსა და აღმაფრენას აორკეცებდა ის, რომ დედაქალაქში ჩასული ვიყავი მთავრობის უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის მისაღებად.

ყოველ დილით, როდესაც კრემლის საათის რეკვა ისმის, მე ვგრძნობ ჩვენი ქვეყნის მძლავრ გულისცემას, ვგრძნობ სამშობლოს მოწოდებას ახალი წარმატებებისაკენ. მეც ამ მოწოდებებით აღფრთოვანებული მუდამ ვცდილობ მაღლა ვატარო მოწინავეობის საპატიო სახელი. თვრამეტ თვეში ექვსი წლისა და სამი თვის გეგმა — აი ის საჩუქარი, რომელიც მივუძღვენი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სახელოვან იუბილეს.

მრავალ ათასეულ წელს იდგეს გრანიტის კედლად ჩვენი მშობლიური მოსკოვი!

სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს დიდ სტალინს!

**ქ. ილურიძე**

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

## ორმოცდაერთის შემოდგომაზე

სამშობლო.

მოსკოვი.

სტალინი.

გვახსოვს ორმოცდაერთის მკაცრი შემოდგომა, როცა სამშობლოს ცაზე შავი ღრუბლები იწვა, როცა მოსკოვს მტერი მოადგა...

თვითეული საბჭოთა მოქალაქის ფიქრი და საზრუნავი იყო—სამშობლო, მოსკოვი, სტალინი.

სანგრებზე იდო პირველი სპეტაკი თოვლი, ხოლო სანგრებში ისხდნენ სტალინის ჯარისკაცები, ამ თოვლზე უფრო სპეტაკი ფიქრებით—სამშობლოზე, მოსკოვზე, სტალინზე.

სანგრები გადაჭიმული იყო უკიდურესი ჩრდილოეთიდან შავ ზღვამდე. ფრონტი მოსკოვთან იყო მოსული, ჩვენი სამშობლოს გულთან—მოსკოვთან. სანგრებში ისხდნენ მეომრები, ბევრ მათგანს არც კი ენახა მოსკოვი. მაგრამ ისინი წარმოიდგენდნენ მოსკოვს, როგორც ყველაზე საყვარელს, მახლობელს, მშობლიურს. შორეული სანგრებიდან ხედავდნენ სტალინს, რუკასთან დახრილს, დაფიქრებულს, დინჯად რომ ადგენდა სამშობლოს გადარჩენის, მოსკოვის გამარჯვების გეგმას.

იდგა მოსკოვი ჯარისკაცივით შეიარაღებული სამშობლოს გუშაგი. იდგა მოსკოვი — რუსი ხალხის, საბჭოთა ხალხის სიმტკიცის, შეუდრეკლობის განსახიერება. მავზოლეუმში კი ეძინა ლენინს. ვის შეეძლო უკანდახევა, მტრის შემოშვება იმ ქალაქში, სადაც ეძინა ლენინს!

მოსკოვი...

ქალაქის ქუჩებში მიმოდიოდნენ წარბშეკრული მეომრები. დედაქალაქის შორეულ მისადგომებზე გუგუნებდნენ ქვემეხები. მტერს სურდა დაეპყრო მოსკოვი, დაემარცხებინა და დაემონებინა საბჭოთა ხალხი. მაგრამ უფრო ძლიერი იყო სამშობლოს სურვილი, მოსკოვის სურვილი, სტალინის სურვილი გამარჯვებისა. მოსკოვსშეფიცული ვაჟკაცები თავს სწირავდნენ სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეს, მკერდით ეღობებოდნენ მტერს. ისინი, ჩვენი საამაყო გმირები სიკვდილის წინ ხედავდნენ დედაქალაქს—მტერზე გამარჯვებულს, ისეთს, როგორიც იგი ახლა არის.

წელზე გრანატებშემორტყმული მეომარი მტრის ტანკს ქვეშ უვარდებოდა. მას ასე ერჩია, ვიდრე მტრის ტანკი ენახა მოსკოვის ქუჩებში.

მოსკოვის ცაზე საბჭოთა მფრინავი სიკვდილს პირდაპირ უსწორებდა თვალს. იგი თვითმფრინავით ეჯახებოდა მტრის თვითმფრინავს, როცა გამოუვალი იყო მდგომარეობა. მას ასე ერჩია, ვიდრე მტრის ყუმბარებით დანგრეული მოსკოვი ენახა.

კავკასიელი იდგა მოსკოვთან და იცავდა მას, როგორც საკუთარ სიწმინდეს, საკუთარ ოჯახს, საკუთარ მშობელს. მოსკოვის მისადგომებთან იდგნენ უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, უზბეკები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, სომხები, აქ იდგა დიდი რუსი ხალხი. ფოლადის კედელი აღიმართა მოსკოვთან. მტრის შეჯავშნული დივიზიები აწყდებოდნენ ამ აუღებელ კედელს.

მოსკოვი იდგა მტკიცედ. მტერს ემატებოდა გააფთრება. იგი პირველად ხვდებოდა ასეთ სიმტკიცეს, შეუპოვრობას.

გაერთიანდა დღე და ღამე. ბრძოლა არ სცხრებოდა წუთით.

ღელავდა მოსკოვი, დინჯად იყო ჩვენი მშობლიური ბელადი. იგი ითვლიდა მტრის ძალებს. ფიქრებით, ღიმილით გაივლიდა გზას მოსკოვის მისადგომებიდან ბერლინამდე — დიახ, გერმანიის დედაქალაქამდე. იგი ხედავდა თვითეულ საბჭოთა მებრძოლს, ხედავდა, როგორ ჩაებღუჯა მათ მარჯვენას შაშხანა, რა შეუპოვარი გამომეტყველება ჰქონდათ მათ. მებრძოლებიც ხედავდნენ თავიანთ მთავარსარდალს.

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო შეჰყურებდა მოსკოვს. საბჭოთა მოქალაქე განთიადისას გულის ფანცქალით ელოდა რადიოგადაცემას.

— ლაპარაკობს მოსკოვი! — რამდენი სიტკბო, აღფრთოვანება, რწმენა, სიხარული იგრძნობოდა ამ ორ სიტყვაში.

ლაპარაკობდა მოსკოვი. ჟრუანტელივით უვლიდა მისი ხმა სამშობლოს.

ლაპარაკობდა მოსკოვი, რვაას წელს მიტანებული მოსკოვი. გადამთიელს სურდა მისი გაჩუმება, მისი დაჩოქება.

არა. მოსკოვი ლაპარაკობდა.

მისი ხმა იყო მტრისთვის ლახვარი.

მის მისადგომებზე კი, სანგრებზე იდო სპეტაკი თოვლი, სანგრებში ისხდნენ მეომრები ამ თოვლზე უფრო სპეტაკი ფიქრით—სამშობლოზე, მოსკოვზე, სტალინზე.

სტალინი მოსკოვში იყო და ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი, მოსკოვი, გაიმარჯვებდა მტერზე.

ჯარისკაცებიანი ეშელონები მიჰქროდნენ მოსკოვის მისადგომებისაკენ. აქ იყვნენ ახალგაზრდებიც. ორიოდე წლის წინათ საკლასო ოთახში რომ ისხდნენ, გეოგრაფიის მასწავლებელს რუკაზე რომ უჩვენებდნენ საყვარელ დედაქალაქს. ახლა ისინი მიდიოდნენ მის დასაცავად.

ჰაღარა კრემლი ულოცავდა მათ გზას, მშობლიური ბელადის ღიმილი მიუძღოდა მათ ბრძოლაში.

საზღვრებს მიღმა ფიქრობდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს მოსკოვი შედრკებოდა.

მოსკოვი კი იდგა უძლეველი. სტალინი მოსკოვში იყო და ეს იმას ნიშნავდა, რომ მტერი ვერ შემოაღწევდა მოსკოვში.

დედაქალაქმა სძლია მტერს.

მოსკოვის მისადგომებთან სტალინის ჯარისკაცებმა შემუსრეს მტერი და ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

ეს იყო დიდი ლახვარი, რომელიც ვერაგ მტერს გულში მოხვდა და აგრძნობინა მოსკოვის ძალა. არ დამშვიდებულა დედაქალაქი. იგი ზომავდა გზას ბერლინამდე. სტალინი იყო მოსკოვში. იდგა მთავარსარდალი რუკასთან, წითელი ხაზები მიიმართებოდნენ დასავლეთისაკენ. მაზარიანი მეომრები კი თოვლსა და ყინვაში მიიკვლევდნენ გზას, სძლევდნენ მტერს და რაც უფრო შორდებოდნენ მოსკოვს, მით უფრო ემატებოდათ აღფრთოვანება და ძალა.

დასავლეთისაკენ მიმავალ საბჭოთა პოლკებს და დივიზიებს სალუტს აძლევდა დედაქალაქი.

დაუვიწყარი დღეები!

გვესმოდა მოსკოვის, მტერზე გამარჯვებული დედაქალაქის ხმა.

გვახსოვს ჩვენ ორმოცდაერთის მკაცრი შემოდგომა და ორმოცდახუთის ბრწყინვალე მაისი. გვახსოვს მოსკოვი ორმოცდაერთის შემოდგომაზე და გვახსოვს მოსკოვი ორმოცდახუთი წლის მაისში.

ჩვენ გვიყვარს მოსკოვი! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვიყვარს სამშობლო, ჩვენ გვიყვარს სტალინი, ჩვენ გვიყვარს თავისუფლება, ჩვენ გვიყვარს მოსკოვის, კრემლის შუქით განათებული სიცოცხლე.

ჩვენ ვხედავთ მოსკოვს, რა შორსაც უნდა ვიყოთ მისგან. ჩვენი მეხსიერებიდან ვერაფერი ამოშლის ორმოცდაერთის შემოდგომის მოსკოვის სურათს. რა შეუპოვარი იყო ჩვენი დედაქალაქი, ჩვენი გული და სუნთქვა!

კრემლში მუშაობს მშობლიური სტალინი. მავზოლეუმში კი სძინავს ვლადიმერ ილიჩს. სტალინს მივყავართ ლენინური გზით. დედაქალაქი—ჩვენი ხალხის სიამაყე კვლავ დგას ბედნიერების გზით გაცისკროვნებული. ჩვენ გვინდა, რომ ყოველთვის ეს მზე ანათებდეს მის ქუჩებს, მის ადამიანებს, ჰაღარა კრემლს.

ორმოცდაერთის შემოდგომაზე სამშობლომ იხსნა მოსკოვი და მოსკოვმა —სამშობლო. ეს დაუვიწყარი თარიღია. იგი ყოველთვის დარჩება ისტორიაში, როგორც ფაქტი მოსკოვის უძლეველობისა, სიმტკიცისა, შეუპოვრობისა.

თაობები კი არაერთხელ გაიმეორებენ სიყვარულით:

სამშობლო!

მოსკოვი!

სტალინი!

**ვლ. გელაშვილი**

## კულტურის უდიდესი ცენტრი

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს მოსკოვის დაარსების 800 წლისთავს. საბჭოთა ხალხს უყვარს მოსკოვი, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფოს უდიდესი პოლიტიკური და სამეცნიერო ცენტრი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე სოციალისტური მეურნეობის მძლავრი განვითარების საფუძველზე მოსკოვმა უდიდესი გარდაქმნა განიცადა.

ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებით გაიხსნა მოსკოვში მრავალი უმაღლესი სასწავლებელი: ინსტიტუტები, უნივერსიტეტები. მოსკოვში ამჟამად 6 აკადემიაა.

მოსკოვის უნივერსიტეტი ყოველთვის იყო უდიდესი კულტურული და პოლიტიკური აზროვნების ცენტრი. აქ აღიზარდნენ რუსეთის განმანათლებელნი — ბელინსკი, გერცენი, ცნობილი მოაზროვნეები და ლიტერატორები—ოგარიოვი, სტანკევიჩი, ჩაადაევი. მოსკოვის უნივერსიტეტში აღიზარდნენ ფონვიზინი, გონჩაროვი, ლერმონტოვი, ოსტროვსკი. მოსკოვის უნივერსიტეტის სიამაყეს წარმოადგენენ ტიმირიაზევი, სეჩენოვი, უშინსკი და მრავალი სხვა.

მოსკოვის უნივერსიტეტში არაერთ ქართველს მიუღია განათლება. აქ სწავლობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი: ლიტერატურის ისტორიკოსი პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი, საქართველოში ფსიქიატრიის ფუძემდებელი პროფესორი მ. მ. ასათიანი, აკადემიკოსი ა. ჯავახიშვილი, პროფესორები გ. ღამბარაშვილი, ი. თუმანიშვილი და სხვები. მოსკოვის უნივერსიტეტმა აღზარდა ცნობილი დრამატურგი და დიდი მსახიობი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი.

მსოფლიოში ამჟამად არ მოიპოვება არცერთი ქალაქი, რომელსაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ისეთი დიდი როლი შეესრულებინოს, როგორც მოსკოვს. იგი წარმოადგენს ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და უშიშროების მტკიცე და საიმედო დასაყრდენს, მეცნიერების წინსვლისა და განვითარების მძლავრ კერას.

**მ. წინამძღვრიშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

## ჩვენ მოსკოველ ფეიქრებს ვეჯიბრებით

მოსკოვის 800 წლისთავის საყოველთაო სახალხო ზეიმს საამაყო მაჩვენებლებით ხვდება ჩვენი ფაბრიკის მუშათა კოლექტივი და პირადად მეც. გეგმის გადამეტებით მე მოვქსოვე 2 ათასი მეტრი აბრეშუმი. განვაგრძობ შეჯიბრებას მოსკოვის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის „კრასნაია როზას" სტახანოველ მქსოველ ამხ. შურაპოვასთან. ჩვენ შარშანაც ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. შეჯიბრებაში მე გამოვედი გამარჯვებული. ჩემი წარმატება როგორც ამხ. შურაპოვამ, ისე მოსკოვის ქარხნის მთელმა კოლექტივმა მომილოცა.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ თბილისელი ფეიქრები დაგვაახლოვა მოსკოველ ამხანაგებთან, განამტკიცა ჩვენი მეგობრობა. ამჟამად ჩვენს საპატიო დაფას ამშვენებს „კრასნაია როზას" სტახანოველი მქსოველების ფოტოგრაფიული სურათები.

მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება დედაქალაქის ფეიქრებთან, ვიქონიოთ მათთან მჭიდრო ურთიერთობა, მოვიწვიოთ სასურველი სტუმრები თბილისში, ხან კი ჩვენ ვინახულოთ ისინი თავიანთ დაზგებთან.

მოსკოვი ძვირფასი და მშობლიურია ყველა ჩვენგანისათვის, მოსკოვი ჩვენი ქვეყნის გული და ტვინია. იქ ცხოვრობს და მოღვაწეობს ბრძენი ბელადი, დიდი სტალინი, რომლის ხელმძღვანელობითაც მივდივართ წინ, ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის სახელოვან დედაქალაქს!

**ე. მეხრაძე**

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი მქსოველი, ოთხდაზგოსანი

## დედაქალაქის იუბილეს შესახვედრად

ქუთაისის საქალაქო სალექციო ბიურომ (გამგე გ. კაპანაძე) მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის მოაწყო ლექციები თემებზე: „ძველი მოსკოვი", „მოსკოვის რევოლუციური ტრადიციები", „მოსკოვი 1905 წლის რევოლუციის დროს", „მოსკოვი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში", „გერმანელების განადგურება მოსკოვთან" და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილება აწყობს დიდ ლიტერატურულ საღამოს, მიძღვნილს დიადი დღესასწაულის — მოსკოვის 800 წლისთავისადმი.

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ (დირექტორი კ. თავბერიძე) მოაწყო დიდი გამოფენა 2 განყოფილებად „ძველი და ახალი მოსკოვი".

**გ. მეფისაშვილი**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

**ნიკოლოზ ტიხონოვი**

## ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი

დიადი, თვალუწვდენელი და განუმეორებელი წარმოგვიდგება მოსკოვი თვითმფრინავის ფრთებქვეშ, და ყოველთვის სიხარულით შეტოკდება ოლმე გული, როცა ხედავ ჩვენი ლამაზი დედაქალაქის ამ სივრცესა და ლიერებას.

ჰაერიდანაც კი ემჩნევა, თუ როგორ განახლებულია იგი უზარმაზარი შენობებითა და ნაგებობებით, რა ფართოდ გადაჭიმულან მისი ახალი ქუჩები, რა მჭიდროდ აღმართულან ფაბრიკა-ქარხნების კორპუსები, როგორ შემოსილან გრანიტით მისი სანაპიროები.

გამაყრუებელი, თვალმომჭრელი მრავალფეროვანი წარმოგიდგებათ მოსკოვი, როცა მის ქუჩებში ავტომობილით ტროლეიბუსით მიდიხართ,—ქუჩის ცხოვრების ნაკადში, მანქანების დაურღვეველ დენაში, ქვეითად მიმავალ ულეველ ხალხში, დიდი ქალაქის მუდამ შეუნელებელ ენერგიაში, ქალაქსა, სადაც ყველა ჩქარობს, სადაც იგრძნობა დაძაბული საქმიანობა.

მაგრამ საკმარისია გაერიოთ ამავე ხალხში, როცა იგი გადაწყვეტ შეჯიბრებათა დღეს, კვირადღეს, სტადიონისაკენ, მიიჩქარის, და თქვენ დაინახავთ, რა მხიარული და ახალგაზრდანი არიან მოსკოველები, რა აზარტიანები არიან ისინი სასპორტო დავაში; გიამებათ დაინახოთ ისინი — აღგზნებულნი და აღტაცებულნი, ახალგაზრდანი, მუდამ დამწვარნი.

მოსკოვი როგორც მძლავრი სახელმწიფოს დედაქალაქი მართლაც დიდებულია. ქალაქის გული — მოხდენილი ძველი კრემლი თავისი ბორცვიდან გადმოიყურება როგორც დიადი წარსულის სიმბოლო, მაგრამ კიდევ უფრო მეტს მეტყველებს არა ეს მდიდარი წარსული, არამედ კაცობრიობის ისტორიაში განუმეორებელი ის უკანასკნელი სამი ათეული წელი, რომელმაც მთელი მსოფლიოს ხალხები აიძულა კრემლის გამოსახულებას უყურონ როგორც ყველა ხალხის ბედნიერებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის სიმბოლოს.

და რაც უფრო შორსა ხართ მოსკოვიდან, რაც უფრო ღრმად ხართ გარეული შორს მცხოვრებ ხალხთა მასაში, მით უფრო მკაფიოდ გრძნობთ მოსკოვის ამ გრანდიოზულ გავლენას, რომლის შესახებაც აუღელვებლად არ შეუძლიათ ლაპარაკი საბჭოთა კავშირის ურიცხვ მეგობრებს. მოსკოველი ადამიანი მათთვის ახალი, წარმტაცი, სამართლიანი სამყაროს მცხოვრებია, იგი მძლეველია ყველაზე საშინელი მტრებისა, რომლებიც კაცობრიობის თავისუფლებას ემუქრებოდნენ, ყველაზე დემოკრატიული ადამიანია მსოფლიოში. ამასთანავე მან ყველაფერი იცის: მას შეუძლია დაიმორჩილოს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბუნება, ბობოქარი ზღვები და უდაბნოები, იპოვნოს ყველაფერი, რაც მას ყველა თავისი წარმოებისათვის ესაჭიროება, და ყველაფერი საკუთარი ხელით აკეთოს.

იგი ცხოვრობს ახალი, ყველაზე შესანიშნავი კანონებით სამყაროში, სადაც არ არის რასობრივი დისკრიმინაცია, სადაც არ არის რელიგიური ან კასტური დევნა. იგი ცხოვრობს ისეთ ქალაქსა და ქვეყანაში, სადაც არ იციან უმუშევრობა და კრიზისები. მოსკოვისაკენ ისწრაფვიან ყველა ასაკის ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მოსკოვი მზესავით აშუქებს მსოფლიო ცხოვრებას. მოსკოვის შესახებ შეგიძლიათ ელაპარაკოთ ადამიანს დელიდან და ნიუ-იორკიდან, ავსტრალიიდან და პარიზიდან—და ყველანი ერთნაირად გეტყვიან, რომ დღეს მსოფლიოში არ არის უფრო დიადი ქალაქი, რომელიც მეტად აღაფრთოვანებდეს კაცობრიობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არ არის უფრო ადამიანური და უფრო საოცარი ქალაქი.

მოსკოვი არ დაბადებულა ერთ მშვენიერ დღეს ერთი ადამიანის ნება-სურვილით, როგორც იშვა ლენინგრადი ნევის ნაპირზე, — იგი შენდებოდა ასეულ წლობით, ბევრჯერ გადამწვარა, გამქრალა ხანძართა კვამლში, კვლავ აღმდგარა ფერფლიდან და კვამლიდან, გადაუტანია თავდასხმები და იერიშები, უცხოელთა შემოსევა და შავი ჭირი, გამოუცდია დროებითი მივიწყება როგორც დედაქალაქს, მაგრამ ყოველივე ეს მოსკოვს კიდევ უფრო ორიგინალურს, კიდევ უფრო რთულსა და დიდებულს ხდიდა.

მაგრამ უკანასკნელმა ოცდაათმა წელმა არა მარტო სახე უცვალა მას, არა მარტო შთაბერა შემოქმედების უმაგალითო ძალა, არამედ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა იგი როგორც მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქი.

მისმა ცალკე ადგილებმა სრულიად ახალი მნიშვნელობა მოიპოვეს და ხალხის გულში ახალი ძალით აღერდნენ. ასეთებია მისი თუნდაც ისეთი საუნჯეები, როგორიცაა კრემლი და წითელი მოედანი.

ისინი ძველთაგანვე სახელოვანნი იყვნენ. მათ შესახებ ხალხში ცოცხლობდა სიმღერები და ლეგენდები, მათ შესახებ მრავალი ლექსი დაუწერიათ რუს და უცხოელ პოეტებს.

მაგრამ დადგა ახალი დრო, დიდი ოქტომბრის გამარჯვების დრო, და სულ სხვა აზრით აღერდნენ ეს სახელები: წითელი მოედანი, კრემლი.

როცა გაზაფხულის დილით მზის პირველი სხივები შეეხება კრემლის კოშკების მწვერვალებს, ოდნავ გათბება კედლები და ავარდისფრდება მოედნის სწორი ფილაქანი, ყნოსვას დაატკბობს კრემლის კედელთან გაშენებული ბაღის სურნელება და, თითქოს ახლად დაიბადაო, თვალწინ მთლიანად წარმოგიდგებათ კრემლი და უზარმაზარი, ამ ჟამს უკაცრიელი მოედანი, გაოცებული შეჩერდებით ამ წარმტაცი, უდიდესი კეთილშობილებით აღსავსე პანორამის დანახვაზე.

კოშკებით დაგვირგვინებული კრემლის კედლების ფორმები ისე სადა და ჰაეროვანია, თითქოს ისინი გაკეთებულია არა ქვისაგან, არამედ რაღაც მსუბუქი შენადნობისაგან, კოშკები პირდაპირ მღერიან გაზაფხულის დილის ჰაერში, დაფიონის ბრწყინვით გარემოსილნი, ხოლო მათ წინ მდებარე მოედანი გეჩვენებათ დედამიწის რაღაც მესამე პოლუსად, იმიტომ რომ ამოღუნული ნიადაგი, იმდენად მკაფიოა, რომ მას ადვილად შეამჩნევთ შეუიარაღებელი თვალით, აღგიძრავთ წმინდა პოეტურ აზრს, რომ დედამიწა ამ ადგილიდან იწყება. და, შეიძლება ითქვას, ეს ასეც არის. ამ ადგილიდან, კრემლიდან, იწყება საბჭოთა მიწაწყალი, მისი ნამდვილი სიღრმე, სული და გული, ნებისყოფა და რულმოუკიდებელი, გენიალური გონება.

რამდენი აზრი, რამდენი მსჯელობა, რამდენი მოგონებაა დაფარული ამ ორ უკვდავ ძეგლში შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრისათვის, რამდენ კიდევ უფრო დიდ აღმაფრენასა და მღელვარებას იწვევენ ისინი საბჭოთა ადამიანში!

წყნარი, მონოლითური, შეფერილობითა და თავისი ქვების ზუსტი ფორმით კრემლის კედელთან შეხამებული, ლენინის მავზოლეუმი — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საუკუნის უდიდესი წმიდათა-წმიდა, რომელიც უკვე ბუნებრივად გვეჩვენება, თითქოს მუდამ აქ იდგაო. და იგი მუდამ დარჩება ადგილად, სადაც ივლის ყველა ხალხი, რომლებიც თანდათანობით განთავისუფლდებიან კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის უღლისაგან, ჩაგვრის ბნელი ძალებისადმი ხალხის წინააღმდეგობის ყველა გმირი, ყველა უბრალო ადამიანი, რომლებიც მოწიწებით წარმოსთქვამენ ლენინის სახელს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ამ მავზოლეუმზე ავიდა სტალინი იმ განუმეორებელი დღის ყინვიან, მოღუშულ დილას, რომელიც უკვდავ გამარჯვებებს აღგვითქვამდა. მოსკოვი მდუმარე და უკაცრიელი იყო.

წითელი მოედნის თოვლის ფანტელებით დაფიფქულ ფილაქანზე კი მავზოლეუმის წინ მიდიოდნენ ბატალიონები და ასეულები, რომლებიც პარადიდან პირდაპირ მოსკოვისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხალხის მომავლისათვის, მთელი კაცობრიობის მომავლისათვის ბრძოლაში ჩასაბმელად მიემართებოდნენ.

ჩემთვის უცნობია კაცობრიობის ისტორიაში უფრო მართალი და უფრო ამათრთოლებელი სურათი. მომაკვდინებელი საფრთხის ჟამს, ყველაზე მრისხანე განსაცდელის წინ მებრძოლები მიდიოდნენ ბელადის წინაშე, რომელსაც არაფრისა არ ეშინოდა, რომელიც თავისი არწივისებური თვალით ხედავდა, თუ როგორ იქნებოდა მტერი ძლეული და უკუგდებული, და ხედავდა, რომ ეს მოხდება ახლავე, აი ასეთი თითქოს უნუგეშოდ მძიმე დღის შემდეგ.

სად წავიდნენ ის ტანკები, რომლებმაც გაჰკვალეს პირველი თოვლი წითელ მოედანზე? შეიძლება ზოგიერთი მათგანი წლების შემდეგ მივიდა დამხობილ ბერლინამდე, და იქ ტანკისტმა გაიხსენა ისტორიული პარადი წითელ მოედანზე და ხმა, რომელმაც მსოფლიო გაოცა სიმტკიცითა და გულში ჩაწვდომის ძალით, საყვარელი, გენიალური სტალინის ხმა...

და ერთბაშად გვაგონდება სხვა დღე, როცა დაუსრულებლად მოდიოდა გაზაფხულის კოკისპირული წვიმა. და, მიუხედავად ამ ღვართქაფისა, თითქოს თვით მიწა გამოასხივებდა მზეს, და იგი ყველას გულში ენთო. ეს გამარჯვების მზე იყო.

წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი მიმდინარეობდა. მხედართმთავრები—ყველა ფრონტის მარშლები, იარაღის ყველა გვარეობის მეთაურები, გამარჯვების ყველა გზაზე გამოვლილი მეომრები შეიკრიბნენ წითელ მოედანზე იმ დღეს, რომელიც ესოდენ განსხვავდებოდა ნოემბრის დღისაგან.

გმირთა ბატალიონებითა და პოლკებით სავსე იყო მოედანი. მათ მკერდზე უბრწყინავდათ საბრძოლო ორდენები და დაჭრილობის მაჩვენებელი ლენტები.

ესენი იყვნენ რჩეულნი რჩეულთაგან, ვინაიდან მილიონობით საბჭოთა ადამიანებს — მტერთა მძლეველებს — ყველას არ შეეძლოთ მოსულიყვნენ მოედანზე, მაგრამ აქ მყოფნი წარმომადგენლობდნენ ამ მილიონებს, რომლებმაც დაიცვეს სამშობლო მიწა-წყალი და ტანჯული ევროპის ხალხებს თავისუფლება მიუტანეს.

და დიდი გენერალისიმუსი, სოციალიზმის სამშობლოს მხსნელი ბელადი, რომელმაც ევროპა ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა, უცქეროდა, მის წინაშე როგორ მიჰყვებოდა ფრონტი ფრონტს, აკვირდებოდა მგზნებარე თვალებიან ამ სახეებს, უყურებდა წვიმისაგან გაშავებულ მათს მხრებს, გაბედულ, მსუბუქ, მტკიცე, ძლიერ სვლას და უხაროდა ხალხის სიხარული. გავი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად

## სიტყვა და საქმე

კიროველი დაზგათმშენებლებისათვის ღირსშესანიშნავი დღე იყო 28 აგვისტო. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის 800 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ამ დღეს ისინი სტახანოვურ ვახტზე დადგნენ.

დაზგათმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს 7 სექტემბრისათვის შეესრულებინათ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა და ჩვენი ქვეყნისათვის გეგმის გადამეტებით მიეცათ 1.600 ათასი მანეთის პროდუქცია, დაზგების დამზადების 9 თვის გეგმა გაენაღდებინათ 105 პროცენტით და საჩუქრის სახით მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად ზედმეტად გამოეშვათ 15 დაზგა, ჩვენი სოციალისტური სოფლის საჭიროებისათვის აეთვისებინათ 4 სპეციალური ახალი დაზგა.

ერთსულოვანი დარაზმულობით, სტახანოვური შრომით კიროველებმა ნაკისრი ვალდებულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით 5 სექტემბრისათვის განაღდეს. ახლა ქარხნის კოლექტივი გაათკეცებული ენერგიით იბრძვის დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ქარხნის წარჩინებული სტახანოველები ე. ჩიხრაძე, პ. სალონიცინი, დ. მოსესოვი, რომლებიც სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიერ საპატიო სამკერდე ნიშნით არიან დაჯილდოებულნი, აგრეთვე ზეინკალი ი. ფირცხალავა და ხარატი ს. ბერიაშვილი, სტახანოვურ ვახტზე დადგომის დღიდან ნორმებს 300-400 პროცენტით ანაღდებენ.

**ი. ზამბახიძე**

## 27 დაზგა გეგმის გადამეტებით

7 სექტემბრისათვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმის შესრულება და გეგმის გადამეტებით 27 დაზგის გამოშვება—ასეთი იყო ქარხანა „დაზგის“ კოლექტივის ვალდებულება მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხნის მუშაკები დაირაზმნენ სამშობლოსათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად. ისინი სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ასრულებდნენ. სტახანოვური შრომის შედეგად მათ ვადამდე, 5 სექტემბრისათვის შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 27 დაზგა.

სტახანოვური ვახტის დღეებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზეინკლებმა ს. გეჯაძემ, მ. აბუაშვილმა, ხარატებმა რ. მურჯიკნელმა, გ. მექლიანმა, მ. მალაფეევმა და სხვებმა.

**ზ. ზარიძე**

## პირობას ვადამდე გავანაღდებთ

5.500 ათასი მანეთის პროდუქცია სახელმწიფო გეგმით, ხოლო 900 ათასი მანეთისა გეგმის გადამეტებით, — ასეთია კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივის ვალდებულება მიმდინარე სამეურნეო წელს. მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად კალინინელებმა იკისრეს წლიური სახელმწიფო გეგმის 31 ოქტომბრისათვის შესრულება. ისინი წარმატებით ანაღდებენ თავიანთ პირობას. 6 სექტემბრისათვის უკვე შესრულებული ჰქონდათ წლიური გეგმის 88,4 პროცენტი.

ქარხნის სახარატო და ლითონსამსხმელო საამქროებს 6 სექტემბრისათვის 11 თვის გეგმა აქვთ განაღდებული. მოსკოვის 800 წლისთავის ზეიმის წინა დღეებში ქარხნის წარჩინებული სტახანოველები ს. მისკალაშვილი, შ. ბერიძე, მ. მურადოვი, გ. მიკიჩაშვილი, ნ. პავლოვი და სხვები სტახანოვურ ვახტზე იდგნენ და გეგმებს 350-400 პროცენტით ასრულებდნენ.

ახლა კალინინელები იბრძვიან დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

**კ. ცისკარიძე**

## ახალი გამარჯვებებით

ცხაკაიას კირის ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის—მოსკოვის 800 წლისთავს. ქარხანამ 8 თვეში გამოუშვა 7.131 ტონა კირი და 6.525 ტონა საშენი ქვა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.140 ტონა კირისა და 1.750 ტონა ქვისა.

შესანიშნავად მუშაობენ ქარხნის მოწინავე ადამიანები არჩილ გელაშვილი, მიხეილ ლომია, სერაპიონ დიმიტრევი და სხვები. ისინი გეგმით მიცემული 8 კუბმეტრის ნაცვლად დღეში 12-14 კუბმეტრ ქვას ამზადებენ. ლუმელის გამომტვირთავი კომუნისტი ვლ. დანელია დღეში ხუთ-ექვს ნორმას ანაღდებს, ვ. მოზოლი—ხუთს, ვ. ლუნინი—ამდენსავე.

წლიური გეგმა რომ შეასრულოს, ქარხანამ კიდევ უნდა გამოუშვას 1.869 ტონა კირი. ქარხნის კოლექტივმა გადასწყვიტა ეს პროდუქცია სექტემბერში გამოუშვას.

**ბ. მილიუტინი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## 10-ნახევარი თვის გეგმა 8 თვეში

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა 8 თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვისა და 15 დღის გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებულია 4.774.500 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 10-ნახევარი თვის გეგმით გათვალისწინებული 4.740.900 მანეთის პროდუქციისა.

ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოების გარდა აგვისტოს გეგმა 102,3 პროცენტით შეასრულა ვაკის აგურის ქარხანამ, 101,2 პროცენტით — გაჯის მექანიზებულმა ქარხანამ და 139,2 პროცენტით—კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელმა ქარხანამ.

## ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდი

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაული მცხეთელმა კოლმეურნეებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს. ლენინის ორდენოსან შოთა ლაბაურის რგოლმა სოფელ წილკანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა.

რაიონის 22 კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. მაისურაძე) პურის ჩაბარების გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულა. სოფელ წილკნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ბერიძე) სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა 6,5 ტონა პური, წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი)—6,2 ტონა.

მრავალმა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო ხვნის გეგმა, მათ შორის წილკნის, გოროვნის, ახალუბნის, გალავნის, მუხრანის კოლმეურნეობებმა.

დღეს, 7 სექტემბერს, შარშანდელზე 10 დღით ადრე, იწყება საშემოდგომო თესვა. ყოველდღიურად იმუშავებს 220 გუთნეული და 50 ფარცხი.

რაიონის 18 კოლმეურნეობამ ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური დავალება. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ნიჩბისის, საგურამოს, მცხეთის, გალავნისა და ქსოვრისის კოლმეურნეობებმა.

**აკ. ქირია**
„კომუნისტის“ კორესპონდენტი

## კოლმეურნეთა საჩუქრები

### წითელი ქარავნები

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ბევრ რაიონში მოაწყეს წითელი ქარავნები და პურს გეგმის გადამეტებით აბარებენ სახელმწიფოს. მარნეულის რაიონმა 1 სექტემბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩააბარა 438 ტონა პური, ლაგოდეხის რაიონმა—245, ბოლნისის—243, თეთრი წყაროს—228, თბილისის—75, ხაშურის რაიონმა—62 ტონაზე მეტი.

### ხვნა დაამთავრეს, თესვა დაიწყეს

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს საშემოდგომო ხვნის გეგმა, დასათესად მოამზადეს 8.000 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობებმა უკვე დასთესეს 300 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. აქედან ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ დასთესა 22 ჰექტარი, ზემო თელეთის კოლმეურნეობამ—18, წყნეთისა და შინდისის—15-15 ჰექტარი. რაიონში საშემოდგომო თესვისათვის გაწმენდილი და კონდიციამდე აყვანილია 14.700 ცენტნერი თესლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.600 ცენტნერისა. კოლმეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით დასთესონ 1.000 ჰექტარი პური.

### გახსნეს ახალი სარწყავი არხი

მოსკოვის 800 წლისთავის ზეიმისათვის საჩხერის რაიონის მშრომელებმა გახსნეს ხოდაბუნის სარწყავი არხი, რომელიც მორწყავს 600 ჰექტარზე მეტ საკოლმეურნეო მიწას. სწრაფად შენდება ელექტროსადგური. იგი 7 ნოემბრისათვის ამუშავდება.

### გამოშვებულია 585 ტონა ჩაის მზა პროდუქცია

ზუგდიდის ჩაის ფაბრიკამ 101 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა. გამოშვებულია 585 ტონა ჩაის მზა პროდუქცია: „საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“, უმაღლესი და პირველი ხარისხისა. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ოქტომბრის XXX წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი.

## მეციტრუსეთა წარმატება

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ციტრუსების მყნობის გეგმა 6 სექტემბრისათვის 104,2 პროცენტით შეასრულა. დამყნილია 104.200 ძირი ლიმონი და ფორთოხალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100.000 ძირისა. სტახანოველმა დ. ნაკაიძემ 29.000 ძირი ციტრუსი დაამყნო, კ. ნადირაძემ—19.000, თამარ ნაკაიძემ — 17.500 ძირი. მყნობა გრძელდება.

**შ. ხომერიკი**

## ყაზბეგელ კოლმეურნეთა მიღწევები

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა ცხვრის მოშენების 1947 წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე 105,9 პროცენტით შეასრულეს. შესრულებულია ცხენის მოშენების სახელმწიფო გეგმაც (100,8 პროცენტი). სახელმწიფოსათვის ხორცი უკვე ჩაბარებულია წლიური გეგმის 90 პროცენტის რაოდენობით, რძე — 80,4 პროცენტის რაოდენობით, მატყლი — 86,8, ბრინზა ყველი—85,8, წვრილი ტყავი — 105,3 პროცენტის რაოდენობით. ყაზბეგის რაიონის მშრომელები ახლა მუშაობენ 1947 წლის ყველა გეგმის ოქტომბრის რევოლუციის XXX წლისთავისათვის შესასრულებლად.

წელს კარგად მოეწყო პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გამოკვება, რამაც გაზარდა წველადობა. სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ მეწველ ცხვარზე მიღებულია 139 ლიტრი რძე, ხოლო თვითეულ ბატკანზე 800 გრამი კრაველის მატყლი. მთლიანად შენარჩუნებულია ნამატი. ასეთივე წარმატება მრავალ სხვა კოლმეურნეობასაც აქვს.

მიმდინარეობს მზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის. კოლმეურნეობები იმარაგებენ საკვებს, სწარმოებს პირუტყვის სადგომების მშენებლობა და რემონტი, იძენენ ფერმებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს, ჰურჭლეულს და სხვ.

## საბოლოო ცნობები უნგრეთის პარლამენტის არჩევნების შესახებ

**ბუდაპეშტი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობები პარლამენტის არჩევნების შესახებ. კომუნისტური პარტიის სიამ მიიღო 1.113.009 ხმა, წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიამ — 769.653, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 744.641, ეროვნულგლეხურმა პარტიამ—415.429, ქალთა ქრისტიანულმა ბანაკმა (ლიდერი მარგიტ შლახტა) — 69.533, [illegible] (ლიდერი ბარანკოვიჩი) — 821.423, უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიამ (ლიდერი პფეიფერი) —670.253, რადიკალურმა პარტიამ — 85.438, უნგრეთის დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა პარტიამ (ლიდერი ბალოგი) — 263.228, სამოქალაქო-დემოკრატიულმა პარტიამ — 50.294.

## საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება

**პარიზი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომის შემდეგ, რომელიც პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის თავმჯდომარეობით შესდგა, გამოქვეყნებულ იქნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლიტბიურომ კომუნისტთა საპარლამენტო ჯგუფს დაავალა ხმა მისცეს რამადიეს მთავრობისადმი ნდობის რეზოლუციის წინააღმდეგ.

პოლიტბიურომ პროტესტი გამოსთქვა „ინგლის-ამერიკის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ხელი შეუწყონ გერმანიის ფოლადის წარმოებას საფრანგეთის ინტერესების საზიანოდ“.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

**პარიზი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნულმა კრებამ მიიღო რამადიეს მთავრობისადმი ნდობის ვოტუმი ქვანახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიების შესახებ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 535 დეპუტატმა. რეზოლუცია ნდობის შესახებ მიღებულ იქნა 292 დეპუტატის ხმით 243-ის წინააღმდეგ. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, „წინააღმდეგობის რესპუბლიკურმა კავშირმა“, ალჟირის ზოგიერთმა დეპუტატმა, „მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანების“ წევრთა ნაწილმა.

მემარცხენე ჟურნალისტთა წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ნდობის ვოტუმი მიღებულ იქნა ხმის უმნიშვნელო უმეტესობით.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა კრებამ დღეს მთავრობისადმი ნდობის ვოტუმი მიიღო, პარიზში დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ მოსალოდნელია რამადიეს გადადგომა. რამადიე თითქოს შეშფოთებულია იმით, რომ ბევრმა რადიკალ-სოციალისტმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ან წინააღმდეგ მისცა ხმა.

## საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოს წევრთა ჯგუფის გადადგომა

**პარიზი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ რესპუბლიკის საბჭოში ალჟირიდან არჩეულმა წევრებმა, რომლებიც „მანიფესტის მეგობრების“ ჯგუფში შედიან, რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნეს წერილი თავიანთი გადადგომის შესახებ ალჟირის სტატუტის მათი კონტრპროექტის უარყოფის გამო.

## დემონსტრაციები და გაფიცვები საფრანგეთში

**პარიზი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). საგაფიცვო მოძრაობა და დემონსტრაციები საფრანგეთში პურის ნორმის შემცირებისა და ფასების გადიდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პროვინციიდან პარიზს გადაედო. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, პარიზის რაიონის ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მოსამსახურეებმა ერთი დღის გაფიცვა გამოაცხადეს.

კლერმონ-ფერანში ქიმიური მრეწველობის მუშათა გაფიცვა გრძელდება. ნანტში გუშინ გაიმართა საპროტესტო მიტინგი ფასების გადიდებისა და პურის ნორმის შემცირების წინააღმდეგ. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე მშრომელმა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, მიტინგის ზოგიერთმა მონაწილემ სცადა შეჭრილიყო პრეფექტურის შენობაში, რის გამო პოლიციელებმა ცრემლსადენი გაზები იხმარეს.

## პარიზის მშრომელთა დემონსტრაცია

**პარიზი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით დღეს მარსის ველზე გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია სიძვირისა და ცუდი მომარაგების წინააღმდეგ.

## ავსტრიის ხელშეკრულების შემმუშავებელ კომისიაში

**ვენა**, 5 სექტემბერი. (საკდესი). 3 სექტემბერს ავსტრიის ხელშეკრულების შემმუშავებელი კომისიის მორიგ სხდომაზე თავმჯდომარეობდა საბჭოთა დელეგატი ნოვიკოვი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განმარტა ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციების მიერ წამოყენებული მთელი რიგი როგორც საერთო ხასიათის საკითხები, ისე ის საკითხები, რომლებიც ეხება ცალკეულ საწარმოებს გერმანიის აქტივების რიცხვიდან. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა თავის შემდგომ სხდომებზე განიხილოს ავსტრიის ხელშეკრულების 35-ე მუხლის გამო წამოჭრილი უთანხმოებათა ძირითადი პუნქტები.

## საბერძნეთის პარლამენტში

**ათენი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). საბერძნეთის პარლამენტის საღამოს სხდომაზე ცალდარისმა დეპუტატებს წარუდგინა მის მიერ შედგენილი მთავრობა და წარმოსთქვა „საპროგრამო სიტყვა“. ამ სიტყვაში ცალდარისმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს „სახალხო“ (მონარქისტული) და ლიბერალური პარტიების თვალსაზრისი ერთმანეთს დაუახლოვდა და რომ ეს მას მთავრობაში ორი პარტიის თანამშრომლობის იმედს აძლევს.

ცალდარისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველთვის იყო სხვა პარტიებთან თანამშრომლობის მომხრე და ახლანდელი ერთპარტიული მთავრობა მხოლოდ იმიტომ შეადგინა, რომ ქვეყანა „დიდხანს ვერ დარჩებოდა უმთავრობოდ“. შემდეგ მან განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკა წინანდელი და სრულიად უცვლელი დარჩება. ცალდარისმა განაცხადა, რომ მთავრობა ულმობელი იქნება იმათდამი, ვინც აჯანყებას განაგრძობს. „სახელმწიფოს, — სთქვა მან, — რომელსაც ახლა უხვად მოეპოვება მატერიალური სახსრები, მოქალაქეთა ტოტალური მობილიზაციის გზით შეეძლება სწრაფად მოუღოს ბოლო აჯანყებას“. დასასრულ ცალდარისმა ნდობის ვოტუმი სთხოვა პარლამენტს.

როგორც „საპროგრამო სიტყვა“, ისე ნდობის ვოტუმის საკითხი მხოლოდ დემონსტრაცია იყო. ვინაიდან სხდომაზე დამსწრეებმა უკვე იცოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰენდერსონმა პარლამენტის პარტიების ლიდერებს წაუყენა მოთხოვნა შეთანხმებოდნენ ერთმანეთს და შეექმნათ მთავრობა ერთგვარი „დემოკრატიული ფასადით“, რომელიც სახელს არ გაუტეხდა ამერიკის პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვალში. ლიდერებს აგრძნობინეს, რომ ამაზე დამოკიდებულია ამერიკის დახმარების განგრძობა. ისიც იცოდნენ, რომ მონარქისტებსა და ლიბერალებს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო და რომ ჰენდერსონის გამგზავრებამდე, რაც ნავარაუდევია 7 სექტემბრისათვის, ახალი კაბინეტი შედგენილ უნდა იქნას.

სოფულისის წინადადებით, რასაც ცალდარისმაც დაუჭირა მხარი, პარლამენტმა გადასწყვიტა კამათი არ გაეხსნა და სხდომა 6 სექტემბრის საღამოსათვის გადაეტანა.

# ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი

(დასასრული)

მარჯვეთ! მთელი დაუსრულებელი შეშფოთება, მთელი გაჭირვება, ყველა ხიფათი, მთელი გაპარტახება, ოკუპაციის საშინელებანი, ზღვა სისხლი, მშიერი ღამეები, საშინელი იერიშები, უმაგალითო მსხვერპლი — ყოველივე ეს უკან მოვიტოვეთ. დღეს წითელ მოედანზე მოდის გამარჯვება ახალგაზრდა მოელვარე სახით!

...წითელი მოედანი ისეთი ადგილია, საიდანაც სჩანს მსოფლიოს ყველა მხარე, თითქოს იგი ამაღლებულია საბჭოთა ქვეყნის ზევით, დედაქალაქის ცენტრში, და ყველაფერი, რაც ამ მოედანზე ხდება, შორსა სჩანს, და იქიდან კარგად სჩანს, რაც ხდება ყველაზე შორეულ შორეთში.

მთელმა მსოფლიომ დაინახა ძლიერებისა და გამარჯვების ეს პარადი. რეაქციონერები და იმპერიალისტები, ახალი ომის გამჩაღებლები, ტყუილად კი არ შეშფოთდნენ, რომ ჩაიფუშება მათი ხრიკები და ფაშიზმისაგან ეს-ეს არის განთავისუფლებულ ხალხთა ჩაგვრის გეგმები, ჩვენი სიმართლის პროჟექტორით გაშუქებულნი და მხილებულნი.

მათ ისე სწყუროდათ, რომ საბჭოთა ხალხი სისხლით დაცლილიყო ამ ბრძოლაში, რომ უკანდახეულ გერმანელებს პირისაგან მიწისა აღეგავათ ყოველივე ცოცხალი, რომ ამ უმაგალითო გაპარტახებას, შიმშილსა და სიღატაკეს შეეჩერებინა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარება, რომ ჩვენს ქვეყანას მთელი თავისი შესაძლებლობანი მიემართა მხოლოდ დანგრეულის აღსადგენად. მათ სურდათ დაღლილ-დაქანცული და დაძაბუნებული ვენახეთ გამარჯვების მეორე დღეს.

მაგრამ იმ უცხოელ მეთვალყურეებს, რომლებიც წითელ მოედანზე ფიზკულტურულ პარადზე, ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის პარადზე მოვიდნენ, გაკვირვებით უნდა ენახათ ახალგაზრდა ძალების უჩვეულო აყვავება, ენახათ სილამაზის, ჯანმრთელობისა და მხიარულების დღესასწაული, რომელიც ყოველ სხვა ადგილას შეუძლებელია.

ეს სხვა პარადი — გაზაფხულის პარადი იყო. ყველა რესპუბლიკამ წარმოგზავნა თავისი საუკეთესო ჭაბუკები და ქალიშვილები. წითელი მოედანი ახალგაზრდა მძლეოსანთა და ძალოსანთა ასპარეზი გახდა, იგი გაახალგაზრდავდა, ისეთი საუცხოო ფერებით, ისეთი ლამაზი, გაცისკროვნებული ჯგუფებით აფერადდა. ზეაღმართული ხელები, სიმძიმეებით მოვარჯიშე კუნთები, ცეკვა და რიტმიული მოძრაობა—ყველაფერი მოწმობდა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა ჯანმრთელი და მშვენიერია.

მსოფლიოში არც ერთ სხვა ახალგაზრდობას არ შეიძლება ახასიათებდეს ასეთი მასობრივობა, ასეთი შემჭიდროება და ძალა, ასეთი ხალისი, მოძრაობის ასეთი რიტმიულობა.

მოსკოველები ყოველ წელიწადს მოდიან წითელ მოედანზე სახალხო დღესასწაულის დღეებში.

მოდიან ახალი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანები. რა ცვლილებაა გარეგნობაში, სიარულში, ლაპარაკის მანერაში, ტანსაცმელსა და ჩვეულებებში რევოლუციამდელ დროსთან შედარებით! აჩრდილებივით გაჰქრნენ ადამის დროინდელი ტიპები; მოსკოველ ხალხში ვეღარ იპოვნით ვერც ჯობესქელ ვაჭრებს, ვერც ქილვაშებიან კაფანდარა მოხელეებს, ვერც ოხოტნორიადელებს, ვერც ვაჭრების ცოლებს, ვერც მსოფლიო ბირჟის წარმომადგენლებს, ბანკირებსა და კომერსანტებს კომისიონერებისა და აგენტების ამალით, ვერც გოროდოვოებს, ვერც მეეტლეებს თავჩაქინდრული გაძვალტყავებული ჯაგლაგებით, ვერც ყველა სხვა, ადამისდროინდელი ცხოველებივით გადაშენებულ ტიპებს.

მოდიან ლამაზად გამოწყობილი და მხიარული საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ამაყობენ იმის შეგნებით, რომ მათ ააშენეს მსოფლიოში პირველი სახელმწიფო მშრომელებისა, რომ ისინი ბოლშევიკების უძლეველი მოდგმა არიან, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, რომ ისინი გაბედულად შეჰყურებენ მომავალს. ამიტომ მათი სიარული ახალგაზრდულია, მათი ხმა წკრიალაა, მათი გამოხედვა მხიარულია. მათ უხარიათ თავიანთი დღესასწაული, მავზოლეუმის ტრიბუნას რომ ჩაუვლიან და შეხედავენ დიდ ბელადს, რომელიც მათ მიესალმება, არ შეუძლიათ თავი შეიკავონ და ხმამაღლა არ შესძახონ „ვაშა“ იმის პატივსაცემად, ვისაც ისინი გამარჯვებისაკენ მიჰყავდა ყველა დაბრკოლების გადალახვით, და ხალხის მკერდიდან ამოხეთქავს ხოლმე მისალმებათა ქუხილი, რომელსაც დიდხანს გამოძახილივით იმეორებენ დემონსტრანტთა ახალ-ახალი რიგები.

არა სჯობს რა შემოდგომისა და გაზაფხულის ამ დღესასწაულებს, როცა 1 მაისს ან 7 ნოემბერს წითელ მოედანზე მილიონობით ადამიანები მიდიან. მარტო ეს სიტყვა „მილიონები“ მოწმობს იმის გრანდიოზულობას, რაც აქ ხდება.

...ა ზამთარში, შუადღისას, როცა ყველაფერს თოვლის ფიფქი აელვარებს და მაგარი ყინვა სუდრავს ტროტუარის ფილაქნებს, როცა შავლურჯად მოსჩანან საფლავების ნაძვები და ლარიქსები კრემლის კედლებთან, რომლებშიც დატანებულია ურნები კომუნიზმისათვის სახელოვან მებრძოლთა ფერფლით, მავზოლეუმს ჩაუვლიან კრემლში მიმავალი უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ისინი მოსკოვს ჩამოსულან ჩვენი სახელგანთქმული სამშობლოს ყველა კუთხიდან, და თვითეულ მათგანს შეუძლია მაღალი ტრიბუნიდან სთქვას, თუ რა სახელოვანი საქმეები შეასრულა მისმა რესპუბლიკამ, მისმა მხარემ, მისმა ქალაქმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველ წლებში.

საბჭოთა ქვეყნის ეს მშვენება კრემლში იმისათვის შეიკრიბება, რომ აკეთოს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ინდუსტრიის, მისი სოფლის მეურნეობის, მისი კულტურის აღორძინებისა და წინსვლისა.

ესენი არიან ახალი ადამიანები, საბჭოთა მიწა-წყალზე დიდი ოქტომბრის მიერ შობილნი. და მათ გარშემო ყველაფერი ახალია, დაწყებული იმ დარბაზით, რომელშიც ისინი სხდომაზე მიდიან, და დამთავრებული იმ საჰაერო გზებით, რომლებითაც ისინი თვითმფრინავებმა დედაქალაქში ჩამოიყვანეს, დაწყებული მეტროს ესკალატორებით და დამთავრებული წითელი მოედნის ამ ფილაქნებით, დაწყებული მინისტრთა საბჭოს შენობით და დამთავრებული ტროლეიბუსის ვაგონით; მათ გარშემოა ბოლშევიკური ენერგიის დენით გამსჭვალული შრომისმოყვარე მოსკოვი, რომელიც თვითეულს აღაფრთოვანებს შრომაში. კრემლში ისინი ნახავენ სხდომათა დიდ, ნათელ დარბაზს, რომელიც მზის სინათლით სავსეა მაშინაც კი, როცა გარეთ საღამოა ან მოღუშული ცაა. ისინი დაინახავენ, როგორ დინჯად და ნელა მიდის თავისი ადგილისაკენ დიდი სტალინი.

უზომოდ აღტაცებულნი, ყველანი ფეხზე წამოდგებიან და მათი ტაშისცემა და მისალმებანი დიდხანს იქუხებს ამ გიგანტური დარბაზის უზარმაზარი ჭერის ქვეშ. უკვე დაიწკრიალა თავმჯდომარის ზარმა, ისინი კი კიდევ დიდხანს და მადლობით დაუკრავენ ტაშს და შესძახებენ მისალმებებს; იმიტომ, რომ სხვანაირად არც შეიძლება. ისინი პირისპირ ხედავენ ყველა დროის უდიდეს ადამიანს და მიესალმებიან თავიანთ ბედნიერებას, თავიანთ სიხარულს, თავიანთ საყვარელ ადამიანს — სტალინს!

მათ იციან, თუ რა შრომა გადაიტანა მან საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის. მათ იციან, რა უძილოდ უტარებია მას მკაცრი ღამეები, როცა მსოფლიოს ბედ-იღბალი მის ხელთ იყო, როცა ხრჩოლავდნენ სტალინგრადის ნანგრევები, როცა ქარხნები ახალ ცხოვრებას იწყებდნენ აღმოსავლეთში და ევაკუაციის დროს წამოღებულ დაზგებს პირდაპირ თოვლზე დგამდნენ, როცა გერმანელის ჩექმა უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის მიწას თელავდა, როცა ლენინგრადის დამცველები შიმშილობდნენ, გერმანელები კი თავხედურად მოიწევდნენ მოსკოვისაკენ.

სტალინი ყველაფერს სჭვრეტდა: სამშობლოს თავისუფლებისათვის დაუსრულებელი ბრძოლის მთელ სივრცეზე გაისმოდა მისი ხმა, ყველგან სჩანდა მისი ნებისყოფა, მის ხელს მიჰყავდა პოლკები და მტერს შიგ გულში უმარჯვებდა მახვილს. სტალინის სახელით გავიმარჯვეთ მოსკოვის კედლებთან, ვოლგისა და ნევის, დნეპრისა და დონის ნაპირებზე, გავიარეთ ევროპა, ავაფრიალეთ ბერლინში გამარჯვების დროშა.

დღეს ეს სახელი საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აყვავების გეგმას აგვირგვინებს. დღეს იგი ჩვენი შესანიშნავი მომავლის სურათებს აშუქებს.

...ზაფხულის საღამოს ხავერდოვან ბინდბუნდში ენთება კრემლის ალისფერი ვარსკვლავები. კოშკები თითქოს უფრო მსუბუქი გახდნენ, კიდევ უფრო ნატიფი მოსჩანს მათი ნაკვთები, ნალები სინათლე გამოკრთის მათ ქონგურებსა და ფანჯრებში. მწვანე ბალახი ოდნავ გამუქდა მდინარისაკენ დაქანებულ ფერდობზე. საღამოს ბინდბუნდში ცისარტყელასავით აციაგდა ძველი ტაძრის გუმბათი.

დრო შეუჩერებლად მიდის...

განვლო მოსკოვის არსებობის რვაასმა წელმა. უსაზღვრო ველზე განუმეორებელი ისტორიის მქონე ქალაქი აღმოცენდა. მას უნახავს ხანძრები და ომები, შავი ჭირი და უუფლებობა, და იგი გახდა მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქი, რომელსაც უყურებენ როგორც ყოველივე იმ საუკეთესოს სიმბოლოს, რასაც კაცობრიობა ელის. მოწინავე ბოლშევიკური მეცნიერების ქალაქი, ბოლშევიკური ყრილობების მგზნებარე სიტყვის ქალაქი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, უძლეველი და თავისუფალი სახელმწიფოს დედაქალაქი, საუცხოო მომავლის ქალაქი, ქალაქი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა ხალხის ბელადი — დიდი სტალინი!

დიდება მოსკოვს — დიადი, უკვდავს დიდება!

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 12651